პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 თებერვალი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 45 (14345)



ვიშრომოთ ხალხის საკეთილდღეოდ, ავამაღლოთ კულტურა სოფლად!

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ თათბირზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ძვირფასო მეგობრებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხურვალედ, გულითადად მოგესალმოთ თქვენ — სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის წარმომადგენლებს და თქვენი სახით ყველა ახალგაზრდა მეჩაიესა და მევენახეს, მეციტრუსესა და მებაღეს, მეცხოველესა და მეძინძგრეს, ჩვენს ახალგაზრდა სოფლის ინტელიგენციას — გისურვოთ ჯანმრთელობა, სიხარული და ბედნიერება, ახალი დიდი წარმატებანი შრომაში, სწავლაში, პირად ცხოვრებაში.

მოწინავე სოფლის ახალგაზრდობის, ახალგაზრდა სოფლის ინტელიგენციის შეკრებები ჩვენში ტრადიციული გახდა და ყოველწლიურად ეწყობა.

ეს მოწმობს, რომ სოფლად მომუშავე ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს აქვთ ბევრი დიდმნიშვნელოვანი, გადაუდებელი საკითხი, რომლებიც მოითხოვენ ერთად განხილვასა და გადაჭრას, რომ საჭიროა ერთად შევიმუშაოთ შემდგომი მუშაობის გეგმა, რათა მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ, უფრო დიდ აღმავლობას.

ბოლოს, ეს შეკრებები და შეხვედრები ცხადყოფენ, რომ ჩვენი კომკავშირი განუწყვეტელ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა შორის და რაც ყველაზე მთავარია — ცხადყოფს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს პარტია ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას.

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავის დღეებში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, და დღეს კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლენინური კომკავშირის სახელოვანი გზა საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო, რევოლუციური და შრომითი გმირობის მატიანეა, საბჭოთა ახალგაზრდობისა, რომელმაც მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიაში. სწორედ ამისათვის ლენინურ კომკავშირს იუბილეს დღეებში მიენიჭა მაღალი ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

დღეს აგრეთვე კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კომკავშირი მუდამ იყო საბჭოთა ახალგაზრდობის ავანგარდში, მუდამ იყო და არის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა აქტიური თანაშემწე და მებრძოლი რეზერვი.

სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ახალი მიჯნებისათვის ბრძოლა, რომლებსაც პარტია სახავს, კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მუდამ შეადგენდა და შეადგენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას სოფლის კომკავშირისას, მთელი ჩვენი სოფლის ახალგაზრდობისას, რომელიც უცვლელად გამოდის ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის თაოსნად.

ასე იყო პირველი ხუთწლედების წლებში, როცა რესპუბლიკის კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კოლხიდის გარდაქმნაში.

ასე იყო მაშინაც, როცა ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა გამოვიდა ჩაის პლანტაციებისა და ვენახების სიმეჩხრის წინააღმდეგ, ბაღებისა და ვენახების დაავადებების, სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატორად, გაშალა ბრძოლა ჰექტარზე ჩაის, ციტრუსების, ყურძნისა და ხილის საშუალო მოსავლიანობის გადიდებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ავამაღლოთ კომკავშირის როლი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც დასახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გზები, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ“ დიდი ამოცანები დაუსახეს კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ყველა კომკავშირული ორგანიზაციის, მათ შორის სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა განახორციელონ დასახული გეგმები, შეასრულონ პარტიის გადაწყვეტილებანი. მათ მთელი თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გასაუმჯობესებლად. ახალგაზრდებს კიდევ უკეთ უნდა ჩავუნერგოთ შეგნებული დამოკიდებულება შრომისადმი, უნდა განვამტკიცოთ საწარმოო დისციპლინა, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება.

ამხანაგებო!

— საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენს სოფლის მეურნეობაში მოხდა უდიდესი ცვლილებანი. ვერ იცნობთ, ისე შეიცვალა ქართული სოფელი. გაყვანილია ახალი სარწყავი სისტემები — ალაზნის, სამგორის, ტირიფონისა და სხვა სისტემები, რის შედეგადაც სარწყავი მიწების ფართობი 355.000 ჰექტარით გაიზარდა. აყვავებულ ბაღნარად, სუბტროპიკების შესანიშნავ მხარედ გადაიქცა კოლხიდის დაბლობი. ახლა შენდება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა, რომელიც წყალს მიაწვდის კიდევ 100.000 ჰექტარ ბარაქიან კახეთის მიწას. 62.000 ჰექტარზეა გაშენებული ამქამად ჩაის პლანტაციები, მაშინ როცა რევოლუციამდე სულ 900 ჰექტარი ეჭირა. ერთისამად გაიზარდა ვენახების ფართობები. ახალი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა სოფლის მეურნეობა.

ქართული სოფელი მუდამ გამოირჩეოდა თავისი მიმზიდველობითა და სილამაზით. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა იგი ისე ლამაზი, ისე მიმზიდველი, ისე მდიდარი და უხვი, როგორც ჩვენს საბჭოთა დროში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებმა ისტორიულად მოკლე ვადაში წარმატებით შეასრულეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანა და განამტკიცეს მისი ეკონომიური საფუძველი. ახლა ქართული სოფელი კვლავ განუხრელად ვითარდება, და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ახალგაზრდობას.

პარტია და მთავრობა ახორციელებენ სერიოზულ ღონისძიებებს, რათა კიდევ უფრო დაახლოონ სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების დონე, საბჭოთა კავშირში ცხოვრების დონის საერთო ამაღლებასთან ერთად.

პარტიის XXIII ყრილობაზე ნათქვამი იყო, რომ, განვახორციელებთ რა ამ ღონისძიებებს, ამით კარგად ვიმუშავებთ იმ დროის მოსაახლოებლად, როცა გაქრება არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ყველა ამ ღონისძიების პოლიტიკური მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევ კავშირს, მთელი საბჭოთა ხალხის მონოლითურ ერთიანობას, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ახალი შესანიშნავი მონაპოვარი იქნებიან.

ჩვენი სოფლები წლითიწლობით სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება, წლითიწლობით სულ უფრო უმჯობესდება სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობები. ახლა ჩვენი სოფლის სახეს ქმნიან კარგი სახლები, წყალსადენები და კანალიზაცია. სოფლის მშრომელთა სახლებში მოვიდა ელექტრობა, გაზი, რადიო, ტელევიზია. სოფლად ფართოვდება ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, შენდება საავადმყოფოები, სკოლები, კინოთეატრები, კლუბები, ბიბლიოთეკები. მიმდინარეობს სოფლის გზების მოასფალტება.

მაგრამ მიღწეული საკმარისი როდია. მდიდარ და კეთილმოწყობილ სოფლებთან ერთად ჩვენში არის ისეთი სოფლები, სადაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ. ეს პირველ რიგში ეხება მთის და შორეულ სოფლებს, სადაც ცოტაა კეთილმოწყობილი გზები, სადაც სკოლები, ბიბლიოთეკები, ადმინისტრაციული დაწესებულებანი მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში. ამ ადგილებში ჯერ კიდევ დაბალია მოსახლეობის სამედიცინო და კულტურული მომსახურების დონე, გაზეთებსა და ჟურნალებს დროულად ვერ იღებენ. შეფერხებით მუშაობს რადიო, არ არის სატელეფონო კავშირი. ზოგიერთ სოფელში ოშვიათად მიდის მოძრავი კინო.

როგორც ხედავთ, უფრო დიდი მუშაობა მოგველის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება აამაღლონ სოფლის კულტურული დონე. სოფლის მშენებლობისათვის, სოფლების კეთილმოწყობისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა

(დასასრული მე-2 გვ.).

ვახტაზეა

ზაურ ტყეშელიაძე

ტყიბული. (საკ. კორ.). შესანიშნავ შრომითს მაჩვენებლებს აღწევს ლენინური იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივი.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის მოახლოებამ კიდევ უფრო გაზარდა მეშახტეთა ენთუზიაზმი.

აქ გამოცდილი მეშახტის სახელი დაიმკვიდრა მიწისქვეშა ელმავლის მემანქანე ზაურ ტყეშელიაძემ, რომელიც 11 წელია უავარიოდ ატარებს შახტის ლოკომოტივს. სწორედ ამიტომ შახტის მუშა-მოსამსახურეებმა ახალგაზრდა მეშახტის დიდი ნდობა გამოუცხადეს და ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

სურათზე: ზ. ტყეშელიაძე.

ფოტო გ. სახელაშვილისა.

მოწინავე ბრიგადები

ახალციხე. ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის სამთოელებმა იანვარში ამოიღეს 7.350 ტონა ქვანახშირი, რითაც 100,7 პროცენტით გაანაღდეს თვის დავალება.

ლენინური შრომის ვახტზე თავი ისახელეს მნგრეველთა კომუნისტური შრომის ახალგაზრდულმა ბრიგადებმა, რომლებსაც ილია ტეფნაძე და ავთანდილ ჯვარიძე ხელმძღვანელობენ. მათი ბრიგადები ყოველდღიურ დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ს. ნათენაძე.

გეგმაც, რეალიზაციაც

ქუთაისი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის ახალგაზრდა კოლექტივმა 110,3 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების იანვრის დავალება. აქ 1 მილიონ 265 ათასი მანეთის ნაცვლად 1 მილიონ 429 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია მოახდინეს და გეგმასთან შედარებით 11,3 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება.

ახალგაზრდა მემაუდეებმა დავალებას გადაჭარბეს. შრომითს ვახტზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სანიჩ-სართავი საამქროს (უფროსი დ. ქელეხსაშვილი) ახალგაზრდებმა, რომლებმაც იანვარში 4.400 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ზეგეგმითი ნართი გამოუშვეს.

შ. ჯაფარიძე.

მეცხრე დ!

თბილისელი მეტრომშენებლები თავდადებით შრომობენ, რათა მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიონ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. გასულ წელს ლენინის ორდენოსანი „თბილგვირაბმშენის“ კოლექტივმა 110,2 პროცენტით გაანაღდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური დავალება. ამასთან გეგმით გათვალისწინებული 7 პროცენტის ნაცვლად 14,1 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადასცა 8 ობიექტი.

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრომ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 1968 წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით კვლავ გამარჯვებულად ცნეს „თბილგვირაბმშენის“ კოლექტივი და ზედიზედ მეცხრეჯერ მიანიჭეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

ბ. კობიძე.

ვ. ი. ლენინის იუბილეს — ღირსეული შეხვედრა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

21 თებერვალს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

მოხსენება „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა.**

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **დ. აბუთიძე**, „თბილგვირაბმშენის“ გამყვანთა ბრიგადირი **ვ. ქიწმარიშვილი**, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. ჩოფიკაშვილი**, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორი **ლ. დოლიძე**, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **ო. ჩერქეზია**, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი **ნ. ცხაკაია**, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი**, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი **ა. კელენჯერიძე**, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **პ. გელბახიანი**, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ი. ნონეშვილი**, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს მოხსენება „თბილისის XXXIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“. ამა წლის თებერვალ-მარტში ქალაქის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მოეწყობა პარტიული კრებები, რომლებიც განიხილავენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს მოხსენებას. კრებებში მონაწილეობას მიიღებენ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები. (საქდესი).

შეკრების დარბაზიდან

ამ სურათზე თქვენ ხედავთ სოფლის მოწინავე ახალგაზრდების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებს. მარცხნივ — სხდომათა დარბაზში; მარჯვნივ — შეკრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი (პირველ რიგში მარცხნიდან): სოციალისტური შრომის გმირები ვინარი სხულუხია (ზუგდიდი) და კლავდია ნაცვალაძე (მახარაძე), მემანქანე-ტრაქტორისტი ნაზიბროლა ბახაია (გალი), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სვეტლანა ავრბა (გუდაუთა), (მეორე რიგში) კინომექანიკოსი მამედ ორუჯევი (დმანისი), ექიმი თამაზ ურუშაძე (ბორჯომი) და მევენახეთა ბრიგადის ხელმძღვანელი მურთაზ ბეჟანიშვილი (გურჯაანი). (საქდესის ფოტოქრონიკა).

სოციალისტური სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

საქართველოს მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 51-ე წლისთავს. ამ მოვლენას მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თბილისის გარნიზონის ჯარების ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც 21 თებერვალს გაიმართა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში.

დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომის პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, ბ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯაფახიშვილი, ო. ი. ლოლაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობის წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ჯ. ბუხრაშვილმა.

დიდებულად ქედს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება „საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 51 წლისთავი“ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ს. ბ. ბუბრაბინმა.

შეკრებილებმა ყურადღებით მოისმინეს ნაამბობი ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალების სახელოვან საბრძოლო გზაზე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების თავდადებულ საქმეებზე სოციალისტური სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დასაცავად.

სხდომა დახურულად ცხადდება. სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივის წარმატება

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ახალგაზრდა კოლექტივმა.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1968 წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით მას მეორე ფულადი პრემია მიენიჭა.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრომ და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გულითადად მიულოცეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივს და უსურვეს ახალი დიდი წარმატებანი. (საქდესი).

(დასასრული)

ვიშრომოთ ხალხის საკეთილდღეოდ, ავაამაღლოთ კულტურა სოფლად!

უდიდესი თანხები. მაგრამ სოფლად ცხოვრებისა და შრომის პირობების ძირეულად გაუმჯობესების ამოცანის წარმატებით შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სოფლის მშრომელთა ფართო მასები და, პირველ რიგში, ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა, ჩვენი სოფლის კომკავშირი.

შემდეგ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ თქვა, რომ ჩვენს ახალგაზრდა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს დიდი წვლილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისა და განვითარებისათვის ბრძოლაში. ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი თავდადებით შრომობს მინდვრებსა და პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში, ფერმებში, ტრაქტორისა და კომბაინის საჯესთან.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მთელი ჩვენი ხალხი, საქართველოს ყველა მშრომელი ამაყობენ ჩვენი შრომისმოყვარე სოფლის ახალგაზრდობით, რომელიც მთელ ძალღონეს ახმარს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლას.

ღირსეულად ვაფასებთ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში სოფლის ახალგაზრდობის შრომითს წვლილს, ამასთანავე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ მთელი ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა როდია სათანადოდ ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ზოგიერთი ქალიშვილი და ჭაბუკი თავს არიდებს სიძნელეებს, სოფლის შრომას და ცდილობს გადავიდეს სოფლიდან ქალაქში, რასაც მართებულად ვერ მივიჩნევთ.

ამაში ვლინდება ზოგიერთი ახალგაზრდის გულგრილობა შშობლიური სოფლის ინტერესებისა და ბედისადმი, მათ არა სურთ იზრუნონ სოფლის კეთილმოწყობისათვის. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. რას იზამ, ეს ბუნებრივი მისწრაფებაა — მიიღო უმაღლესი განათლება, მაგრამ ხომ ვიცით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ყველა აბიტურიენტი როდი ხვდება. ზოგჯერ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი, როცა უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდება, აღარ უბრუნდება საპატიო საკოლმეურნეო შრომას, რჩება ქალაქში და ხელს არ ჰკიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეს, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს არც საზოგადოებისათვის და არც საკუთარი თავისათვის. ეს არ უნდა ხდებოდეს. ახალგაზრდობა, როცა ტოვებს სოფელს და ქალაქში გაურკვეველი მიზნით მიდის, ჩვეულებრივ თავს იმით იმართლებს, რომ შინ ვერ იკმაყოფილებს კულტურულ მოთხოვნილებებს. ვფიქრობ, რომ ამ განცხადებებს უფრო ყურადღებით უნდა მივუდგეთ, ისინი არცთუ ისე უსაფუძვლოა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. თვალი არ უნდა ავარიდოთ იმას, რომ ცხოვრებისა და შრომის პირობები სოფლის ახალგაზრდობისა, რომლის კულტურული დონე ამ ბოლო დროს განუზომლად აღმაღლდა, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს. პარტიულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ახალგაზრდობის თავისუფალი დრო სავსე იყოს საინტერესო და სასარგებლო საქმეებით.

მეორე მხრივ ასეთი განცხადებანი გვიჩვენებენ, რომ საჭიროა სერიოზულად გავაუმჯობესოთ მთელი აღმზრდელობითი მუშაობა სოფლის ახალგაზრდობაში, რადგან ისინი მოწმობენ, რომ სოფლად ყველა ჩვენს ქალიშვილსა და ჭაბუკს შეგნებული არა აქვს თავისი მაღალი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე.

პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები დღენიადაგ და გულმოდგინედ უნდა განუმარტავდნენ ახალგაზრდობას, რომ სწორედ ჩვენ, ჩვენი ახალგაზრდობა, მოწოდებულია იყოს ყველა პატრიოტული საქმის თაოსანი, აქტიური მებრძოლი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების კულტურული დონის აღმაღლებისათვის.

ჩვენმა სოფლის ახალგაზრდობამ უნდა შეიგნოს, რომ მორალური კმაყოფილება მოაქვს არა მარტო ექიმისა თუ მასწავლებლის პროფესიას, არამედ მეჩაიის, ტრაქტორისტის, მეცხოველის პროფესიასაც, რადგან მათი შრომა ნაკლებად საპატიო როდია, ვიდრე ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შრომა, და რომ იგი აგრეთვე ესაჭიროება ადამიანებს, ხალხს.

აი რატომ არის საჭირო, რომ უკვე სკოლის წლებშივე ჩამოვუყალიბოთ ჩვენს ახალგაზრდობას შეგნება, გულმოდგინედ და ბეჯითად ჩავუნერგოთ შრომის სიყვარული და პატივისცემა. სწორედ შრომის სიყვარული და პატივისცემა, და არა მარტო შრომითი ჩვევები, არა მარტო ხერხის, ან ვთქვათ, ელექტროსაწველავის ხმარების უნარი, რადგან მთავარი ის არის, რომ ახალგაზრდას შეგნებული ჰქონდეს — შრომა, მხოლოდ საზოგადოებისათვის, სამშობლოსათვის სასარგებლო შრომაა ნამდვილი ბედნიერების, ნამდვილი ადამიანური ღირსების წყარო.

დღევანდელ შეკრებას ესწრებიან ჩვენი ახალგაზრდა სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები — პედაგოგები, ექიმები, აგრონომები, კულტურის მუშაკები. ამხანაგებო, სწორედ თქვენზე ამყარებს პარტია დიდ იმედს სოფლად კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამიტომ არ კმარა იყო მხოლოდ მასწავლებელი და შენი საქმიანობა შემოფარგლო იმით, რომ კეთილსინდისიერად გადასცემ გაკვეთილებს, არ კმარა იყო ექიმი და დაკმაყოფილდე იმით, რომ კარგად მკურნალობ ხალხს.

სოფლის ინტელიგენციის თვითეული წარმომადგენელი ამასთან ერთად უნდა ზრუნავდეს ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ ზრდაზე, მის იდეურ აღზრდაზე, ეხმარებოდეს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ერკვეოდნენ ლიტერატურის, ხელოვნების, მხატვრობის, მუსიკის ნაწარმოებებში, გამოუმუშაოს ესთეტიკური გემოვნება. ახლა ხომ ჩვენში არ არის ისეთი სოფელი, სადაც არ იყონ ინტელიგენციის წარმომადგენლები. ეს უდიდესი ძალაა, რომელსაც შეუძლია ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიოს სოფლის ახალგაზრდობის აღზრდაში, ჩვენი სოფლების კულტურული იერის გარდაქმნაში. მაშ იყავით, ამხანაგებო, თქვენი კეთილშობილური მისიის ერთგულნი! შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ხალხი დიდად დააფასებს თქვენს შრომას და გულითად მადლობას გეტყვით. ხალხის მადლობა კი უმაღლესია ყველა ჯილდოსა და მადლობას შორის!

აქვე საჭიროა ითქვას ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის ურთიერთობის განმტკიცების შესახებ. მართო საზეიმო შეხვედრები საკმარისი არ არის ამისათვის. ისე უნდა ვქნათ, რომ ქალაქელმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მეტი იცოდნენ სოფლის ცხოვრებაზე, იმაზე, თუ რამდენი შრომაა ჩაქსოვილი თვითეულ კილოგრამ ჩაიში, თვითეულ მტევან ყურძენში, და თავის მხრივ დაეხმარონ სოფლის ახალგაზრდობას აიმაღლოს კულტურული დონე, გააუმჯობესოს კულტურულ-საგანმანათლებო დაწესებულებათა მუშაობა.

ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ჩვენს მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინოსა და თეატრის მოღვაწეებს, რომლებიც აქტიურად უნდა უნერგავდნენ ახალგაზრდობას შრომის სიყვარულსა და პატივისცემას, სოფლის თემამ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს მათს ნაწარმოებებში.

სოფლის ახალგაზრდობა მეტს უნდა ზრუნავდეს მშობლიური სოფლის იერის გაუმჯობესებისათვის, მისი კეთილმოწყობისათვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა — ტყეების, ტბებისა და მდინარეების დაცვისათვის, მტკიცედ ებრძოდეს იმათ, ვინც აფუჭებს მწვანე ნარგავებს, ვინც უკანონოდ ჭრის ხეებს, ვინც ანადგურებს თევზს, ვინც აფუჭებს სიძველეთა ძეგლებს.

ჩავუნერგოთ სიყვარული მშობლიური სოფლისადმი — ეს ნიშნავს ვასწავლოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს გაუფრთხილდნენ ყველაფერს, რასაც ხედავენ ბავშვობიდან, ვასწავლოთ მათ პატივი სცენ უფროსთა შრომას, პატივი სცენ იმათ ხსოვნას, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ახალგაზრდობა მუზეუმებისა და საბრძოლო დიდების კუთხეების შექმნაში, სადაც კრებენ მასალებს დიდი სამამულო ომის გმირების შესახებ. ეს ახალგაზრდობას უნერგავს მხურვალე საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას, სამშობლოს, მშობლიური სოფლის, მშობლიური სახლის სიყვარულს.

ამხანაგებო!

კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება მისი ერთიანი, ერთსულოვანი, მრავალეროვანი ოჯახის წარმატებაა. საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანი საბჭოთა რესპუბლიკაა. საქართველოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ეწევიან დიდ მიზანდასახულ მუშაობას ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პარტია გვასწავლის, რომ ხალხთა მეგობრობა არის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის, მისი ძლიერებისა და უძლეველობის წყარო.

ხალხთა ეს მეგობრობა და ძმობა იშვა შორეულ წარსულში და გამოიწრთო ერთობლივ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, შემდეგ კი სოციალისტური მშენებლობის წლებში.

ხალხთა ამ მეგობრობამ და ძმობამ ღირსეულად გაუძღო მკაცრ გამოცდას დიდი სამამულო ომის პერიოდში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხების თავდადებულ ბრძოლაში.

ხალხთა ეს მეგობრობა და ძმობა ახალ, კიდევ უფრო მკაფიო ძალად გამოვლინდა ომისშემდგომ წლებში, და დღეს ეს მეგობრობა, ეს ძმობა საბჭოთა ადამიანებს ახალ ძალას მატებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე, ყოველი საათი აღსავსეა ამ ურღვევი მეგობრობით. ამ სულ უფრო მზარდი ძმობის, ერთმანეთის მხარდაჭერისა და დახმარების გრძნობის გამოვლინებებით.

აი სულ ახალი მაგალითები. როგორც იცით, გასულ გაზაფხულზე წყალდიდობისა და მეწყრის გამო საქართველოს მთელმა რიგმა რაიონებმა დიდი ზარალი განიცადეს. სტიქიური უბედურების შედეგები განსაკუთრებით საგრძნობი იყო ბორჯომის რაიონში. აქ წყალმა წალეკა რკინიგზა და გზატკეცილები, დაანგრია ხიდები. და როცა ეს უბედურება მოხდა, მთელი რესპუბლიკა ფეხზე დადგა, საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ მშრომელები დასახმარებლად.

და ხალხთა მეგობრობის დიადმა ძალამ სძლია სტიქიის ძალას!

დაიწყო 1969 წელი, და დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებს თავს დაატყდა ძლიერი გრიგალი. დაინგრა ბევრი სახლი, დაზიანდა ელექტროგადაცემების ხაზები, ზოგიერთ საწარმოში შეწყდა მუშაობა. გრიგალმა გაფანტა პირუტყვისათვის დამზადებული საკვები.

გრიგალის შედეგების ლიკვიდაციისათვის ამჯერადაც სასწრაფო ღონისძიებანი განხორციელდა. ჩვენს რესპუბლიკას დიდად დაეხმარნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საკავშირო მთავრობა.

იანვრის იმ საგანგაშო დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ზედიზედ იღებდა დეპეშებს, განუწყვეტლივ გაისმოდა ტელეფონის ზარი. საქართველოს ყველა კუთხეში აინტერესებდათ, როგორ არის საქმე დაზარალებულ რაიონებში, გვეკითხებოდნენ, რა დახმარება გვესაჭიროებოდა.

ქალაქების თბილისისა და რუსთავის, გორის, ბორჯომის, წითელწყაროს, თელავის, გარდაბნის, ქარელის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, სიღნაღის, ახმეტის, ბოლნისისა და სხვა რაიონების მშრომელთა ძმური დახმარების მეოხებით, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების აქტიური მონაწილეობით, რაიონებში, რომლებსაც თავს დაატყდათ გრიგალი, ფაქიზად ვადაში აღადგინეს ცხოვრებისა და შრომის ნორმალური პირობები. იმისათვის, რომ სავსებით დამთავრებულ სტიქიური უბედურების შედეგებზე [illegible] ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, მაგრამ იმ ძმურმა მონაწილეობამ, იმ მეგობრულმა დახმარებამ, იმ მხარდაჭერამ, რაც იმ დღეებში გამოვლინდა, დაზარალებული რაიონების ხალხი გაამხნევა.

აი სწორედ ეს არის რესპუბლიკის ყველა მშრომელის, ისევე როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობის, ძმური ერთიანობის დიადი ძალა. და ამ მეგობრობას, ამ ძმობას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და გადაჭრით გავილაშქროთ ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რომ შეარყიონ ეს მეგობრობა, ჩამოაგდონ შუღლი ხალხთა შორის, გააღვივონ ნაციონალისტური განწყობილებანი.

ამხანაგებო!

მოწინავე სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების პერიოდში.

ვ. ი. ლენინს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადის სახელს ატარებს ჩვენი სახელოვანი კომკავშირი, რომელიც აერთიანებს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ახალგაზრდობას. ეს მაღალი პატივი კომკავშირმა დაიმსახურა თავდადებული შრომითა და მამაცური ბრძოლით კომუნიზმის იდეალებისათვის, დიდი ლენინის იდეების გამარჯვებისათვის.

ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ლენინურად — ეს ნიშნავს მთელი ჩვენი ძალღონე, ცოდნა, ენერგია და გამოცდილება მოვახმაროთ მშობლიურ ხალხს, ჩვენს სამშობლოს, ვიყოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, მშრომელთა ინტერესების უსაზღვროდ ერთგული, ვიყოთ მორალური სიწმინდის, პრინციპულობის, საქმიანობის ნიმუში.

ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ლენინურად — ეს ნიშნავს დაუცხრომლად ვებრძოლოთ ყველა იმათ, ვინც ხელს უშლის ჩვენს წარმატებითს წინსვლას, გაბედულად ვძლიოთ სიძნელენი, ბეჯითად ვისწავლოთ, გავიმდიდროთ ცოდნა, სრულყოთ ჩვენი ოსტატობა. მეტი წვლილი შევიტანოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. და ახლა, ემზადებიან რა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, საქართველოს კომკავშირელები, მთელი ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები აღწევენ ახალ წარმატებებს შრომასა და სწავლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სოფლის ახალგაზრდობას მოუწოდებს გააჩაღოს კიდევ უფრო ენერგიული ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი ეფექტიანობისათვის, ჩაისა და ციტრუსების, ყურძნისა და ხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, მიწების მელიორაციისა და ირიგაციის ფართო პროგრამის განხორციელებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ სოფლის ახალგაზრდობა პირნათლად შეასრულებს თავის პატრიოტულ მოვალეობას, წარმატებით გაართმევს თავს სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს, რომ სოფლის კომკავშირელები, სოფლის ყველა ახალგაზრდა მშრომელნი ღირსეულად განაგრძობენ პარტიისა და ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას მოახმარენ კომუნიზმის აშენების დიად საქმეს!

დასასრულ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ შეკრების მონაწილეებს უსურვა, წარმატებით განახორციელონ ის სერიოზული და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც დასახულია სოფლის ახალგაზრდობის წინაშე, უსურვა დიდი წარმატებანი ცხოვრებაში, შრომასა და სწავლაში.

ლენინიზმი ჩვენი გზის მანათობელი

ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი ა

ჩ ვ ე ნ შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი დ რ ო ს ი ვ ც ხ ო ვ რ ო ბ თ. ა რ ა ს ო დ ს ა ნ ა ა რ გ ა უ ფ ლ ი ა ა ს ე ი ფ ა რ თ ო ო დ ფ რ თ ე ბ ი ხ ა ლ ხ ი ს ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ა ს. ყ ვ ე ლ ნ ა ნ ა ჩ ე ფ ს ნ ე ბ ი თ ი ნ, დ ა ყ ა ბ ე ნ ი ფ რ ო ბ ა. ა ხ ლ ა ნ ი ა ნ თ ა ა ზ რ ი, ბ რ ძ ნ ე ბ ე ბ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ი ა ე რ თ ი ა ნ ი ბ ი ზ ნ ი ს ა კ ე ნ — ა ხ ლ ი ნ ი, ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა ქ მ ე ე ბ ი თ ი ნ ა ღ ნ ი შ ნ ო ნ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს დ ა ბ ა დ ე ბ ი ს 1 0 0 წ ლ ი ს თ ა ვ ი ს, კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ბ ა ა ა ძ ლ ი ე რ ო ნ ს ა მ შ ო ბ ლ ო ს.

**ა რ ა ვ ი ნ ა რ ა ვ ი ნ ა ს ა ბ ჭ ო თ ა ო-ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ბ ჭ ო ს, მ ი თ ო ბ ე ბ ს ჩ ვ ე ნ ი ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც უ ფ რ ო ს ი ი თ ა ო ბ ი ს მ ხ ა რ დ ა მ ხ ა რ ე ბ ი ნ ა ტ ი ნ ე ბ ს ნ ა ტ ი ნ ე ბ ს ბ ო ლ ო ნ ა ნ ი ნ ი ს ბ ო ლ ო ნ ა ნ ი ნ ი ს ბ ო ლ ო ნ ა ნ ი ნ ი

ლენინიზმი ჩვენი გზის მანათობელი ვარსკვლავია

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

გრძოლის მოწინავე ხაზზე

ნაყოფიერად მუშაობენ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში. წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებებს. უფრო შეძლებული გახდა კოლმეურნეთა ცხოვრება. სახე იცვალა სოფელმა. დიდად არ განსხვავდება ახლა ჩუმლაყელთა ცხოვრება ქალაქელთა ცხოვრებისაგან. და ამ საქმეში, თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ვ. უტიაშვილმა.** ლოტა წვლილი როდი შეიტანა ჩვენმა შესანიშნავმა ახალგაზრდობამ, რომელიც ნამდვილი შრომითი გმირობის მაგალითებს გვიჩვენებს.

ორატორი შეეხო მირიან გოიშვილის მეგენახეთა ბრიგადის საქმიანობას. ბრიგადას სამფალად ჰექტარზე მოჰყავს 70 ცენტნერზე მეტი ყურძენი, გეგმაზე 10 ცენტნერით მეტი. ჩინებულად მუშაობს აგრეთვე გივი არჩევნიშვილი, ხოლო კომკავშრელი ფატი ზომბაშვილი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

კოლმეურნეობის გამგეობა ახალგაზრდობას აწინაურებს პასუხსაგებ პოსტებზე. ბევრ ბრიგადას მეთაურობენ კომკავშრის ალბრდილები. მათ შორის არიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. კოლმეურნეობაში 21 კაცს უმაღლესი განათლება აქვს, ოთხი დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში.

კოლმეურნეობის ეკონომიურმა მოღონიერებამ საშუალება მოგვცა მნიშვნელოვანი სახსრები გამოგვეყო სოფლის შემდგომი კეთილმოწყობისა და არტელის წევრთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ ბოლო ცხრა წელიწადში აშენდა და ამუშავდა კულტურის სახლი, საბაფხულო ესტრადა, სამი მაღაზია, ფოსტა, აფთიაქი, ლაბორატორია, წყალსადენი. აბანო. გასული წლის დეკემბერში გაიხსნა ქორწინების ორსართულიანი სახლი, სადაც არა მარტო დაქორწინების ცერემონია იმართება, არამედ ქორწილებიც ეწყობა. ახლა შენდება საშუალო სკოლა, რომელშიც ისწავლის თითქმის ათასი ბავშვი.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა **ნ. ხომიზურაშვილმა** ილაპარაკა მებაღეთა და მევენახეთა მიღწევებზე წლითიწლობით იზრდება მრავალწლოვანი ნარგავების ფართობები, იზრდება მოსავლიანობა.

ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომელსაც მაინცდამაინც ბევრი მიწის სავარგულები არა აქვს, დიდი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მიღებას თვითეულ ჰექტარზე, სამრეწველო მნიშვნელობის ბაღების მოვლა-მოყვანის პროგრესული მეთოდების დანერგვას. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პალმეტური მეხლეობა. ეს წესი, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ძალიან ეფექტიანია და მნიშვნელოვნად ადიდებს ხილის საერთო გამოსავლიანობას. ახალგაზრდობა ხილისა და ყურძნის მოვლა-მოყვანის ამ და სხვა პროგრესული მეთოდების მასობრივი გამოყენების თაოსანი უნდა იყოს. ჩვენ კი, მეცნიერები, მას ყოველნაირად დავეხმარებით.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ბევრი რამ გააკეთეს ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციის, ვაზისა და ხეხილის დაავადებებთან ბრძოლის, სასოფლო-სამეურნეო მავნებელთა მოსპობის საქმეში. ეს მეტად მნიშვნელოვანი, სასარგებლო მუშაობა უნდა განვაგრძოთ.

აფხაზეთის კომკავშრელები, მთელი ახალგაზრდობა ენერგიულად ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი ღირსეულად შეხვედრისათვის, თქვა საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ბარციცმა.** გულიერმად ჩაგვწვდა სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სიტყვები, სადაც ხაზგასმულია, რომ ლენინური კომკავშირის გმირული გზა განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ისტორიასთან, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის, გლეხობის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლასთან სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

1968 საუბილეო წელი საოლქო ორგანიზაციის კომკავშრელებისათვის გახდა პოლიტიკური სიმწიფისა და შეგნებულობის, შრომითი აქტივობის ნამდვილი გამოცდა. ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციებში წარმოიშვა ბევრი საინტერესო და სასარგებლო თაოსნობა.

კომკავშრელებისა და ახალგაზრდობის შრომითს მიღწევებში დიდ როლს ასრულებენ კომკავშირის საოლქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილი ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური შეჯიბრების, წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, ადრების განაწილების საკითხებს.

ორატორი შეეხო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხელმძღვანელ სამუშაოზე კომკავშრელებისა და ახალგაზრდობის დაწინაურების საკითხს და აღნიშნა, რომ ბრიგადირებისა და მერგოლურების საერთო რიცხვში კომკავშრელები სულ 15-20 პროცენტს შეადგენენ. ეს სერიოზული ნაკლია, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას.

ჩვენი რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები, თქვა საქართველოს ალკკ ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა **ს. გუკასიანმა,** მთელ თავიანთ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის საქმიან მონაწილეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა განხორციელებაში. სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა უმრავლესობა გვიჩვენებს საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მაგალითს, გრძნობს დიდ პასუხისმგებლობას საწარმოო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

კომკავშრის რაიკომი, მეურნეობათა პირველადი კომკავშრელი ორგანიზაციები ახლა უფრო გულმოდგინედ მუშაობენ საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ბევრი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი გვიჩვენებს ნამდვილ კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ნორმებსა და ვალდებულებებს.

სათანადო ყურადღება ეთმობა ცოდნის დაუფლებას, ქალიშვილებისა და ჭაბუკების პროფესიული ოსტატობის ამაღლებას. ახალგაზრდობაში ფართო პროპაგანდას ეწევიან მუშურ პროფესიებს, რომლებიც ძალიან ესაჭიროებათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

წარმოებს მუშაობა ჩვენი სკოლების კურსდამთავრებულთა მოზიდვისა და შრომითი მოწყობისათვის სოფლად. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში პრაქტიკულ დახმარებას გვიწევს კომკავშირის რაიკომთან შექმნილი ლექტორთა ჯგუფი. მისი წევრები საშუალო სკოლების კურსდამთავრებულს უკითხავენ ლექციებს და ესაუბრებიან. აი შედეგებიც: შარშან კომკავშირის რაიკომმა მეცხოველეობის ფერმებში გაგზავნა 250-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში ახალგაზრდა მშრომელთათვის შეიქმნა აგროტექნიკური და ზოოტექნიკური წრეები, რომელთა მეცადინეობას ხელმძღვანელობენ გამოცდილი სპეციალისტები.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელმა **ნ. კაიკაციშვილმა** ილაპარაკა თავის მუშაობაზე. შარშან რგოლმა მოკრიფა 33.800 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 ათასი კილოგრამისა. პირადად მერგოლურმა სახელმწიფოს ჩააბარა 5.800 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ასე შრომობს ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ათი წლის წინათ სოფელ ხუცუბნის ახალგაზრდა მეჩაიეებმა გამოიჩინეს ინიციატივა და გაშალეს ბრძოლა ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. მაშინ კოლმეურნე ახალგაზრდობამ მოამზადა დაახლოებით 200 ათასი შეხავსებული ნერგი და დარგა ისინი, რითაც ჩვენი პლანტაციებს ფართობი 10 ჰექტარით გადიდდა. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო ჰექტარზე ჩაის ფოთლის მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

ორატორმა მადლობა გადაუხადა ქართველ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, რომლებმაც შექმნეს შესანიშნავი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. ახლა ჩვენ დიდი ხნის ოცნება, — თქვა მან. ახლა ჩვენ გვაქვს მანქანა, რომელიც ცვლის ხელის შრომას. მაგრამ არის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან მანქანის მაქსიმალურ გამოყენებას, ჩვენს კოლმეურნეობაში „საქართველოს“ მარკის სამი მანქანაა. შარშან ამ მანქანებით მხოლოდ 16 ტონა ჩაი მოკრიფეთ, მაშინ როცა მანქანებს შეუძლიათ მეტი მოკრიფონ და შეცვალონ 90 მკრეფავის შრომა. მანქანების გამოყენების ასეთი დაბალი კოეფიციენტი იმით აიხსნება, რომ არა გვაქვს მათი სათადარიგო ნაწილები. გვაკლია ჩაის ბუჩქების სასხლავი აპარატებიც.

ილაპარაკა რა მეჩაიეთა შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, მერგოლურმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის სპეციტანსაცმლის საკითხი, ორგანიზებული არ არის ცხელი კერძების მიტანა პლანტაციებში.

ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ეს ორი ფოტოსურათი გადაღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა რესპუბლიკის სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის შეკრება. ზედა სურათზე — შეკრების მონაწილენი ისმენენ მოხსენებას. წინა პლანზეა წინანდლის ღვინის ქარხნის მუშა, კომკავშირელი ე. ტუხაშვილი; ქვემოთ — შეკრების მონაწილენი სხდომის დარბაზში.

ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა

საქართველოს მწერალთა კავშირის გაგეობის პირველმა მდივანმა **გ. აბაშიძემ** სიამაყით ილაპარაკა სოფლის ახალგაზრდობის შესანიშნავ საქმეებზე, რომელიც უფროსი თაობის ტრადიციების ღირსეული განგრძობია. თქვენი დაკოჭრებული ხელები, გარუჯული სახეები, მომართა მან შეკრების მონაწილეებს, მოწმობენ არა მარტო ძნელ შრომას, რომელიც ღირსებისა და გმირობის საქმედ გადაქცეთ, არამედ იმასაც, რომ ქართველი კაცის ხელი ჯერ არ დაღლილა და არც არასოდეს დაიღლება, რომ სამშობლოს ღირსეული შვილები მუდამ იზრუნებენ ჩვენი სოფლისათვის.

თქვენი წინაპრები სასხლით იცავდნენ სამშობლოს, თქვენი მამები აშენებდნენ ახალ ცხოვრებას — სოციალისტურ საქართველოს, გერმანიის ფაშიზმს წინააღმდეგ ბრძოლაში დაიცვეს სოციალიზმის მონაპოვარნი. გული სიამაყით ივსება, როცა ხედავ, რომ ყოველ ქართულ სოფელში შენდება ობელისკები იმ გმირთა პატივსაცემად, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ. ეს ობელისკები და დიდების ძეგლები შექმნეს ჩვენმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაუფრთხილდნენ და გაამრავლონ ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. ჩვენმა ახალგაზრდობამ იცის, როგორ დაიფასოს და დაიცვას უფროსი თაობის მოწაპოვარნი, გაამრავლოს წარმატებანი.

ჩვენი სოფლების პეიზაჟს ერწყმის ტრაქტორები და კომბაინები, რომლებიც შექმნეს ჩვენმა მეცნიერებმა, ჩაის საკრეფი შესანიშნავი მანქანები „საქართველო“, დიახ, ახალი საქართველო ბედნიერი და თავისუფალი შრომის პატიოსანი და გმირული შრომის მხარეა.

ჩვენ, ქართველი მწერლები, დიდ ყურადღებას ვუთმობთ მხატვრულ შემოქმედებაში თქვენი შრომის ასახვას. შექმნილია ბევრი კარგი ნაწარმოები იმ საოცარ გარდაქმნათა შესახებ, რომლებიც ჩვენს სოფლებში მოხდა. ჩვენ კი, ქართველი მწერლები, ჯერ კიდევ ვალში ვართ სოფლის მშრომელთა წინაშე. მაგრამ პირობას ვდებთ, რომ შეიქმნით თანამედროვეობის შესანიშნავ გარდაქმნათა მესაფერ ახალ ნაწარმოებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **შ. სალარიძემ** თქვა, რომ ამ ბოლო დროს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითს გეგმებში სულ უფრო მეტი ადგილი უჭირავს ფილმებს, რომლებიც ასახავენ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის სისხლსავსე ცხოვრებას. გამოშვებულია ბევრი კარგი მხატვრული კინოსურათი. კინოსტუდიის გეგმაშია ჩვენი თანამედროვეობისადმი მიძღვნილი საინტერესო ნამუშევრები.

ამავე დროს ორატორმა აღნიშნა, რომ ქართველი კინემატოგრაფისტები ჯერ კიდევ ვალში არიან სოფლის ახალგაზრდობის წინაშე, რომლის გმირული შრომითი საქმეები ღირსია, რომ მაღალმხატვრულად ასახოს ეკრანზე.

გაუმჯობესდა მოსახლეობის კინომომსახურება, განვითარდა კინოფესტივალის მატერიალური ბაზა, გაჩნდა ახალი კინოპარატურა, ფართოეკრანიანი კინოდანადგარები, გაუმჯობესდა ფილმების ჩვენების ხარისხი და სხვ. ამასთან მოსახლეობის კინომომსახურებაში, განსაკუთრებით სოფლად, არის სერიოზული ნაკლოვანებები. ბევრ სოფელს არ მოეპოვება ფილმების საჩვენებელი შენობები.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას ქართველი კინემატოგრაფისტების წინაშე. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისთვის მზადებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ უკვე გაწეულია გარკვეული მუშაობა. გამოდის ფილმები მგზნებარე რევოლუციონერის ლადო კეცხოველის, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კაკიის, საბჭოთა ახალგაზრდობის თაობის შესახებ, რომელსაც მოუხდა სამშობლოს დაცვა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, კინოსურათი ზოია რუხაძის შესახებ და სხვ.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების შესახებ ილაპარაკა რაიონული საავადმყოფოს ექიმმა **თ. ჩომახაშვილმა.**

რაიონის მედიცინის მუშაკთა პრაქტიკაში ბევრია ფაქტი, რომ ახალგაზრდა ექიმები მამაცურად ებრძვიან და ამარცხებენ სიკვდილს. მშრომელი ადამიანების სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, მისი ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის თავდადებული შრომითა და ნაყოფიერი მოღვაწეობით, საყოველთაო პატივისცემა დასიყვარული დაიმსახურეს მედიცინის ფრონტის ახალგაზრდა მშრომელებმა, კომკავშირელებმა ჯემალ დვალმა, მანონ სიჭინავამ, გიორგი მარანტიდიმ, ნუნუ ფხაკაძემ და სხვებმა. სწორედ მათი და უფროსი ამხანაგების წყალობით, რომლებისანაც ვსწავლობთ, რაიონში სავსებით ლიკვიდირებულია ბევრი საშიში ინფექციური დაავადება.

ჩვენ, ახალგაზრდა სპეციალისტებს, ღრმად შეგნებული გვაქვს, რომ ვართ არა მარტო ექიმები, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი მუშაკები. ჩვენი ამოცანაა აქტიურად ვიღებდეთ მონაწილეობას მედიცინის მეცნიერების უახლეს მიღწევათა პროპაგანდაში. მე ვხელმძღვანელობ კომკავშირის რაიკომთან არსებულ ლექტორთა და მომხსენებელთა ჯგუფის სამედიცინო სექტორს. ახალგაზრდა ექიმთა ძალებით მარტო შარშან წაკითხულ იქნა ასზე მეტი ლექცია მედიცინის აქტიურად საკითხებზე. ხშირად ვაწყობთ ათეისტურ საღამოებს თემაზე „მედიცინა და რელიგია“, აგრეთვე თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს.

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონე. ახლა ჩვენში არ არის ისეთი უბანი, რომ დაკომპლექტებული არ იყოს ექიმებით და საშუალო სამედიცინო პერსონალით. შექმნილია მუშაობის კარგი პირობები.

სტუდა ეძლევა ხაშურის რაიონის სურამის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს **ლ. ლეჟავაურს.** იგი ლაპარაკობს პედაგოგების მაღალ მოვალეობაზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის კულტურულ და განათლებულ ქალიშვილთა და ჭაბუკთა აღზრდაში.

ხაშურის რაიონში ბევრი რამ კეთდება ახალგაზრდა მასწავლებელთა პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის. კომკავშირის რაიკომთან მათთვის შექმნილია მუდმივმოქმედი კურსები. ეწყობა პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობა ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის პიონერული და კომკავშირული მუშაობა სკოლაში, სკოლისგარეშე მუშაობა, მოსწავლეთა იდეური აღზრდა და სხვ. ლექტორებად და მომხსენებლებად იწვევენ საზოგადოება „ცოდნის“ წევრებს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაკებს, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ხაზი გაუსვა ორატორმა, დიდ ყურადღებას უთმობს საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებას. სოფლებში შექმნილია საყოველთაო სწავლების საგუშაგოები და შტაბები, სისტემატიურად ეწყობა რეიდები სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა გამოსავლინებლად, მათი ყოფაცხოვრების პირობების შესასწავლად. ამ მხრივ დახმარებას გვიწევენ კოლმეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციები, დგილობრივი საბჭოების დეპუტატები.

ჩვენ, სოფლის მასწავლებლები, აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაში. სამწუხაროდ, ყოველთვის როდი გვაქვს შესაძლებლობა მივიღოთ კონსულტაციები პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაკებისაგან, მაშინ როცა მოსწავლეთა შორის პიონერული და კომკავშირული მუშაობის საკრები ჩვეულებ უმაღლეს სასწავლებლებში არ მიგვიღია. ორატორი აყენებს საკითხს, რომ პედაგოგიურ ინსტიტუტებში შემოიღონ სპეციალური დისციპლინა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

შეკრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ვ. პ. მეჟავანაძის** სიტყვას.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობისადმი, რომელსაც მოუწოდებენ ფართოდ გაშალოს შეჯიბრება, რათა ღირსეული საჩქეებით აღნიშნოს დიადი თარიღი — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

შეკრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ გალის რაიონის აჩიგვარის ნიადაგის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ მემანქანე-ტრაქტორისტს ნაზიბროლა ხასაიას. მოხარული ვარ, თქვა მან, რომ წილად მხვდა ბედნიერება ერთ-ერთი პირველი მივყოლოდით მეჩაიეობის მსოფლიო პრაქტიკაში პირველი ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ საქეს. ჯერჯერობით ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში 11 ასეთი მანქანაა, რომლებმაც მძიმე შრომისაგან გაათავისუფლეს 300 მკრეფავი. მანქანით მოკრეფილი ერთი კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ჯდება სულ 2 კაპიკი, მაშინ როცა ხელით კრეფისას — 18 კაპიკი.

ჩვენ პრაქტიკულად დავრწმუნდით, რომ ჩაის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს ნადღეურლის თვითღირებულებას, და, რაც მთავარია, ათავისუფლებს მეჩაიეებს ფიზიკური შრომისგან.

ორატორმა დაწვრილებით ილაპარაკა თავის მუშაობაზე. „საქართველო“ ნაზიბროლას მიანდეს 1966 წელს. მას შემდეგ კარგი მოგლის შედეგად, მანქანას არ ესაჭიროება კაპიტალური რემონტი. მანქანაზე მუშაობის პირველ ელს ნ. ხასაიამ ჰექტარზე მოკრიფა სამ ტონამდე ჩაის ფოთოლი, ხოლო შარშან ჰექტარზე მოსავლიანობამ ოთხ ტონას გადაჭარბა, ამასთანავე მოკრეფილი 50 ტონამდე ჩაის ფოთლიდან 60 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

საბჭოთა მეურნეობაში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ პლანტაციები მოამზადონ მექანიზმების მუშაობისათვის. ახლა მთელი კოლექტივი ცდილობს ყოველმხრივ აღფურვილი შეხვდეს ჩაის კრეფის ახალ სეზონს. წესრიგდება მოყვანილი მანქანები, დაიწყო ბუჩქების გასხვლა, დაკომპლექტებულია კომპლექსური მექანიზაციის საწარმოო ბრიგადები.

ახალგაზრდა მექანიზატორმა შეკრების მონაწილეებს აღუთქვა, რომ მომდინარე წელს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად 160 პროცენტით შეასრულებს ფოთლის მანქანით კრეფის გეგმას.

კომკავშირის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ძებისაშვილმა** ილაპარაკა გასულ წელს კომკავშრელებისა და ახალგაზრდების შრომითს საქმეებზე და აღნიშნა, რომ სოფლის ათასზე მეტმა ახალგაზრდა მშრომელმა მაშინ შექმნა 20-ზე მეტი კომკავშირულ - ახალგაზრდული ბრიგადა და რგოლი. მათ ვალდებულება იკისრეს დაამუშაონ ასობით ჰექტარი ნათესი და მრავალწლიანი ნარგავები. მეცხოველეობაში სამუშაოდ წავიდა 70 ქალიშვილი და ჭაბუკი. კომკავშირელებმა ყოველ ას ნერბზე მიიღეს და შეინარჩუნეს 90 ბატკანი.

რაიონში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. კომკავშირულ ორგანიზაციებში ეწყობა კრებები, რომლებზეც ახალგაზრდობა პირობას დებს მიაღწიოს ახალ მიჯნებს. სოფელ ორჭოსანში გამართულ ერთ-ერთ ასეთ კრებაზე კომკავშირელმა მწველავმა ზოია დრიაევამ გადაწყვიტა შეინარჩუნოს მთელი ნამატი და ბევრის გადამეტებით მოწველოს 400 კილოგრამი რძე.

თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

აკადემიკოს ქ. ბახტაძის დაბადების 70 წლისთავი

საოცდაათი წელი შეუსრულდა გამოჩენილ ბიოლოგ-სელექციონერს, სოციალისტური შრომის გმირს, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მსოფლიოში პირველი სელექციური ჩაის ავტორს — **ქსენია ერმილეს ასულ ბახტაძეს.**

...ბუნების სიყვარულმა, იმის ღრმა რწმენამ, რომ ადამიანს უნარი შესწევს შეცვალოს ბუნება, აიძულოს ის დიდი სარგებლობა მოუტანოს მშრომელ ხალხს, ამ სწორ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა ახალგაზრდა აგრონომი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ქსენია ბახტაძე.

1927 წელს ქ. ბახტაძე მუშაობას იწყებს უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ ჩაის სელექციისა და მეთესლეობის განყოფილების გამგედ ჩაქვის საცდელ სადგურში, რომელიც შემდგომ გადაკეთდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალად. იგი ამ თანამდებობაზე მუშობს დღესაც.

საქართველოს უხვმოსავლიანი ჩაის პლანტაციები, აზერბაიჯანისა და ერევნის ხეობის ჩაის რაიონები! — ეს მისი 40 წელზე მეტი ხნის ძძიმე და გულმოდგინე მუშაობის შედეგები.

თეორიული საფუძვლების დამუშავებისას ქსენია ბახტაძე ერთდროულად ქმნიდა ჩაის სელექციის გზებსა და მეთოდებს შემდგომი სელექციებისათვის და არჩევდა მშობელთა წყვილებს, აკვარებდა ახალ საწყის ფორმებს. ამუშავებდა ჩაის მეთესლეობის მეცნიერულ საკითხებს.

მეცნიერების მონაცემების შემოქმედებითად გამოყენებამ, მცენარის ბიოლოგიის ღრმა, ერუდირებულმა ცოდნამ და დიდმა შრომისმოყვარეობამ შესაძლებლობა მისცა მეცნერს შეექმნა პირველად მსოფლიოში ჩაის სელექციური ჯიშები „ქართული № 1“ და „ქართული № 2“, რომლებიც ჩვეულებრივ საბეურნეო პოპულაციას მოსავლიანობით სჭარბობენ 30-35 პროცენტით და იძლევიან უკეთესი ხარისხის პროდუქციას.

ჩვენს ქვეყანაში მეჩაიეობით დაინტერესებამ და საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სამამულო წარმოების ჩაით დაკმაყოფილების აუცილებლობამ მეცნერის მძიმე ელი ბელი გონება და ენერგია წარმართა იქითკენ, რომ შეექმნა ახალი ყინვაგამძლე ჩაის ჯიშები, ამით კი გაფართოებულიყო ჩრდილოეთში ჩაის კულტურის გავრცელების არე.

ამ მიმართულებით მუშაობის შედეგია ჩაის სელექციური ჯიშის „ზამთრის გმირის“ — № 8-ის შექმნა, რომელიც თოვლის საფარქვეშ უძლებს 20-25 გრადუს ყინვას. „მიღწეულით დაკმაყოფილება მეცნიერების მტერია“, — ხშირად ამბობს მეცნერი. ღვაწლმოსილი მკვლევარის უკანასკნელი წლების შემოქმედებითი მუშაობის შედეგია ჩაის ახალი ჯიშის — „საიუბილეოს“ შექმნა. ეს ჯიში მოსავლიანობითა და პროდუქციის ხარისხით სჭარბობს აქამდე არსებულ სელექციურ ჩაის ჯიშებს. ეს წარმატება ავტორმა მიუძღვნა დიდი **ლენინის** დაბადების 100 წლისთავის იუბილეს.

მთელ კოლექტივთან ერთად შექმნილი და კარგად შესწავლილი, შემოწმებული ქართული სელექციური ჩაის ასორტიმენტი ფართოდ ინერგება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უკვე გვაქვს პირველი სამრეწველო სელექციური ჩაის პლანტაციები 1.000 ჰექტარ ფართობზე. 300 ჰექტარზე გაშენებულია სპეციალური სათესლე პლანტაციები, რომლებიც ჩაის პლანტაციების შემდგომი გაშენების საფუძველს წარმოადგენს.

აკადემიკოს ქ. ბახტაძის მიერ გამოყვანილი სელექციური ჩაის ჯიშების დანერგვა ხდება არა მარტო საბჭოთა კავშირის პირობებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სელექციური ჩაის თესლი და ბუჩქები იგზავნებოდა ეგვიპტეში, ჩინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ვიეტნამში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, თურქეთში, ირანში, ავღანეთში, კუბაში, ტუნისსა და სხვა საზღვარგარეთ ქვეყნებში. ამ საზღვარგარეთ ქვეყნებიდან ჩანს, რომ ჩაის სელექციურმა ჯიშებმა იქაც გაამართლეს იმედი როგორც თესვით, ისე ბუჩქების დარგვის სახით.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ აკადემიკოს ბახტაძის მიერ გამოყვანილმა სელექციურმა ჩაის ჯიშებმა საერთო აღიარება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

თავისი კვლევის შედეგები ქ. ბახტაძემ მოთავსა გამოქვეყნებულ 100-მდე სამეცნიერო შრომებში, რომლებშიც ის გვევლინება არა მარტო როგორც ბრწყინვალე მკვლევარი, რომელმაც შემოქმედებითად გამოიყენა თეორიული და ექსპერიმენტული სელექციის მეთოდები, არამედ აგრეთვე როგორც პრაქტიკული მეჩაიეობის დიდი მცოდნე.

ქ. ბახტაძე არ იფარგლება მარტო სელექციისა და მეთესლეობის საკითხებით, ის ღრმად სწვდება აგროტექნიკას, ეკოლოგიის, ცოტოლოგიის, ფიზიოლოგიის, ანატომიის, ეკონომიკისა და ჩაის კულტურის ისტორიის საკითხებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი ქ. ბახტაძე პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. იგი აქტიურად არის ჩაბმული პარტიულ, საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მუშაობაში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ქობულეთის რაიკომის წევრია. იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის დეპუტატი. არის აგრეთვე ცეილონ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი. მისი აღზრდილნი წარმატებით ასრულებენ სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოს სუბტროპიკული კულტურების სელექციაში საბჭოთა სუბტროპიკების სხვადასხვა კუთხეში.

მეცნიერის მრავალი წლის ნაყოფიერი შრომა არაერთხელ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. ის ოთხი ორდენისა და მედლების კავალერია.

საბჭოთა მეჩაიეობის განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის აკადემიკოს ქ. ბახტაძეს 1966 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სამაგალითო წოდება.

შეუნელებელი, მიზანსწრაფული მუშაობა გრძელდება. მეცნიერის ჩანაფიქრები — სამშობლოს სიდიდებლად ფართოდ განვავითაროთ სამეცნიერო კვლევაძიება, — აღსრულდება. ამის წინაპირობაა მისი დაუცხრომელი ენერგია, მეცნიერული კე

საერთაშორისო ხელოვნება

სოციალიზმის ინტერესების მარად ერთგულნი

ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტივის კრება

პრაღა, 20 თებერვალი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღაში გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტივის კრება.

ჩვენი კრების ამოცანაა, თქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ი. პელნარშმ, განამტკიცოს უშიშროების ორგანოების მოქმედების ერთიანობა ახალი სახელმწიფო-სამართლებრივი წყობილების პირობებში.

რესპუბლიკის მტრებმა, განაცხადა მან, უნდა შეიგნონ, რომ ქვეყანაში არსებობს სოციალისტური უშიშროების სისტემა, რომელიც ერთგულად ემსახურება ჩვენს პარტიას, სოციალისტურ სახელმწიფოსა და მის მშრომელ ხალხს. სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის ინტერესებისათვის მტკიცედ უნდა ვიბრძოლოთ მტრული საქმიანობის წინააღმდეგ.

კრებაზე მოსსენება გააკეთა ფედერალური მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა. იგი შეეხო თანამედროვე საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთ მომენტს.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის უმრავლესობამ, თქვა მან, აქტიურად დაუჭირა მხარი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას. ჩვენს ხალხს სურს იცხოვროს მშვიდად, სურს მშვიდად იშრომოს. ხალხი მოითხოვს უზრუნველყოფილ წესრიგი, განვამტკიცოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმები, დავიცვათ მართლწესრიგი ქვეყანაში.

დასასრულ ო. ჩერნიკმა კრების მონაწილეებს მოუწოდა განამტკიცონ კავშირ-ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან, და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან, როგორც მთელ მსოფლიოში სოციალიზმის ინტერესების დაცვის მთავარ ბურჯთან.

აქტივის კრებაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. დუბჩეკი. მან კრების მონაწილეებს გააცნო პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის გეგმები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის, დეკემბრისა და იანვრის პლენუმების რეზოლუციები.

ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად, თქვა მან, მთავარ საშიშროებად მიგვაჩნია ანტისოციალისტური ძალები საზოგადოებაში, რომლებიც ეყრდნობიან კაპიტალისტური წარსულის გადმონაშთებსა და იმპერიალისტური ბანაკის მხარდაჭერას.

ჩვენ გვესმის, განაცხადა ა. დუბჩეკმა, რომ არ ვცხოვრობთ უპაერო სივრცეში, რომ ჩვენს წინააღმდეგ სისტემატურად ეწყობა მტრული საქმიანობა და ძირგამოთხრელი საქმიანობა საზღვარგარეთიდან, რომ ჩვენს ქვეყანაშიც არ გამქრალან ცალკეული ადამიანები, რომლებიც გარეშე იმპერიალისტური წრეების გავლენით, და შეიძლება კონტაქტითაც, მუშაობენ ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ არ შეიძლება იყოს რაიმე დისკუსია იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს უშიშროების აპარატს, როგორც ყველა იმ ძალებისაგან საზოგადოების დაცვის აუცილებელ იარაღს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მას. ეს არ ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის იანვრის შემდგომ პოლიტიკას, პირიქით, ემსახურება მის ინტერესებს, ეს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ შეესაბამება დემოკრატიის ინტერესებს, რადგან რაც უფრო პარალიზებული იქნება მტრული საქმიანობა, მით უფრო დიდი ასპარეზი ექნება ხალხის დემოკრატიულ თავისუფლებას.

კრების დასასრულს მისმა მონაწილეებმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ლ. სვობოდას გაუგზავნეს წერილები. წერილებში ვალდებულებას კისრულობენ შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც უშიშროების ორგანოების მუშაკთა წინაშე დასახულია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის რეზოლუციასა და მთავრობის საპროგრამო განცხადებაში.

პრეს-კონფერენცია პარიზში

პარიზი, 21 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ვ. საფონოვი იუწყება:

დამარცხებამ, რომელსაც ყოველდღიურად განიცდის ამერიკის შეერთებული შტატები თავის აგრესიულ ომში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, იძულა იგი მიჯდომოდა მოლაპარაკების მაგიდას, მაგრამ აქაც განაგრძობს თავის ნეოკოლონიალისტურ პოლიტიკას, თეხქვეშ თელავს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს. ეს განცხადება გამოაქვეყნა გუშინ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ნგუენ თხან ლემ** პრეს-კონფერენციაზე. მას შეადეგ, რაც დამთავრდა მეხუთე პლენარული სხდომა თათბირისა ვიეტნამის შესახებ. ნგუენ თხან ლემ ხაზი გაუსვა, რომ სხდომებზე ამერიკის შეერთებული შტატები ყოველნაირად ცდილობს დაამახინჯოს ჟენევის შეთანხმებათა შინაარსი, ამავე დროს აქტიურებს საომარ მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამში. მთავარის ახალი წლის დღესასწაულობის პერიოდშიც კი ამერიკის „ბ-52“ ბომბდამშენებმა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს 9.000 ტონაზე მეტი ბომბი და რამდენჯერმე დაუშინეს არტილერიის ცეცხლი.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ჩან ჰოაი ნამმა** ჟურნალისტების წინაშე გაკეთებულ განცხადებაში ამხილა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის ადმინისტრაციის ცდები გაამართლონ შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესია. „ამერიკის შეერთებული შტატები შემოიჭრა ჩვენს სახლში, როგორც მძარცველი, — თქვა მან — და სავსებით და პირობის დაუდებლად უნდა დატოვოს ვიეტნამი, გაიყვანოს მთელი თავისი და მისი სატელიტების ჯარები“. ჩან ჰოაი ნამმა შემდეგ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მარიონეტების ეგრეთწოდებული „კონკრეტული“ წინადადებანი არ იძლევიან მოლაპარაკებაში რაიმე პროგრესის მიღწევის საშუალებას.

საკუთარ ბუნებრივია, ხაზი გაუსვა დასასრულ ჩან ჰოაი ნამმა, რომ საიგონის ადმინისტრაციას არა აქვს რაიმე უფლება გამოდიოდეს ვიეტნამის სახელით, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და იმ უფლებისათვის, რომ გადაწყვიტოს თავისი ბედი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საფუძველზე.

ქრღვევენ დაზაკვებას

ბანგი, 21 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს განთავისუფლების პრესის სააგენტოს და იუწყება, რომ ამერიკელმა აგრესორებმა დაარღვიეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მიერ მთავარს კალენდრის ახალი წლის გამო გამოცხადებული დაზავება და 15 და 16 თებერვალს დაბომბეს მთელი რიგი მჭიდროდ დასახლებული რაიონები ქუანჩიასა და თხიათხიენის პროვინციებში. ამავე დროს ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის მე-9 პოლკმა აღნიშნულ რაიონებში განახორციელა სადამსჯელო ოპერაცია.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები სალასუხოდ 17 თებერვალს თავს დაესხნენ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის მე-9 პოლკის შტაბ-ბინას. ბრძოლამ 30 წუთს გასტანა. სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 400-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო მეტად ეფლობიან ვიეტნამის ომის მორევში, რისგანაც დიდ მოგებას ნახულობენ სამხედრო მრეწველები (ბაზუთებიდან).



ამერიკელი გენერალი: — ვიეტნამში დიდი ზარალი მოგვდის.
სამხედრო მაგნატი: — როგორ თუ ზარალი? ჩემთვის მას მოგების მეტი არაფერი მოაქვს.

კარიკატურა ბულგარულ გაზეთ „ტრუდიდან“.

შუალეგური პოზიცია

ბონი, 21 თებერვალი. (საკდესი). ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის პარტია უგულებელყოფს ოპოზიციური თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გონივრულ წინადადებას, რომ გადასინჯოს საკითხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევისათვის ფედერალური კრების მოწვევის საბოლოო ადგილის შესახებ.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი ფრაქცია „ვერ ხედავს მჭეზებს“, რომ სთხოვოს ბუნდესტაგის თავმჯდომარეს შეცვალოს გადწყვეტილება დაიკრძალოს ბერლინში ფედერალური კრების მოწვევის შესახებ. ამას იუწყება დპას საგენტო.

მ. რიადის მოგზაურობა

კაირო, 20 თებერვალი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი მოგზაურობს მთელი რიგი არაბული სახელმწიფოების დედაქალაქებში იმისათვის, რომ ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს გაუზიაროს აზრი და მოეთათბიროს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობისა და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში არაბთა ძალების გაერთიანების შესახებ.

მაჰმუდ რიადი უკვე ეწვია სირიას, ლიბანსა და ერაყს, სადაც პრეზიდენტ ნასერის პირადი წერილები გადასცა ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს და მოლაპარაკება ჰქონდა ოფიციალურ პირებთან.

სესია კარიზში

პარიზი, 20 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა დასავლეთ ევროპის კავშირის ასამბლეის საბჭოს სესია, რომელშიც მონაწილეობენ ორგანიზაციის წევრი 7 ქვეყნის — „საერთო ბაზრის“ ექვსი ქვეყნისა და ინგლისის პარლამენტარები. სესია განიხილავს ორ ძირითად საკითხს: ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა და ევროპის პრობლემები.

მასობრივი ტირაქით

პარიზი, 21 თებერვალი. (საკდესი). მარტი იქნება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მებრძოლი ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს“ მასობრივად გავრცელების თვე, განაცხადა დღეს საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაიუნმა. მან მოუწოდა პარტიის ორგანიზაციას, ყველა კომუნისტს ხელი შეუწყონ ამ კამპანიის წარმატებას.

ეს თქვენ გაინტერესებთ, მკითხველო!

მეტროპოლიტენი საბურთალოში, ვარკეთილში

საქართველოს მშრომელები განსაკუთრებული ინტერესით სადევნებენ თვალს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობას, აინტერესებთ მისი მომავალი. რა სიახლეა მოსალოდნელი ამ იაფი მიწისქვეშა ტრანსპორტის შემდგომ განვითარებაში? ზოგადად ასეთი კითხვით მოგვმართავენ ისინი. ამიტომ ჩვენი კორესპონდენტი ეწვია ლენინის ორდენოსან „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსს ვიქტორ გოცირიძეს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

□

— რა სხვაობაა პირველი რიგისა და ახლანდელი მშენებლობის ტემპებს შორის?

— საკმაოდ დიდი. პირველად თვეში მხოლოდ 10, უკეთეს შემთხვევაში 15 გრძივი მეტრი მზა გვირაბი გაგვაკეთდა. ახლა კი საშუალოდ 40 გრძივი მეტრით მივიწევთ წინ. მწარმოებლობა გაზარდა „105-ო“ მექანიკურმა ფარმა, რომელმაც იინგარში ახალი საკავშირო რეკორდი დამყარა და 101 გრძივი მზა გვირაბი გაიყვანა.

ასეთი დიდი სხვაობა კოლექტივის მონდომების შედეგია. პირველად თითქმის შიშველი ხელებით შეეგებით მიწისქვეშა კლდეებს, წვრილქვი და ნიჩაბი ფართოდ იყო გამოყენებული, მაგრამ თანდათან დავნერგეთ მექანიზაცია, ინდუსტრიულ რელსებზე გადავიყვანეთ მშენებლობა. ამჟამად „თბილგვირაბმშენში“ ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზებულია. გვირაბი ჩვეულებრივ და მექანიზებულ ფარეს გაჰყავთ, დატვირთვასა და გადმოტვირთვას, გრუნტის გამოზიდვასა და გვირაბში მასალის შეზიდვას განმანაგი ასრულებენ. სწორედ ეს გახდა ახლანდელი მაღალი ტემპის საფუძველი.

— როდის დამთავრდება „ჟიი არაგველ“-„ისანი“,-„ნავთლუღის“ გადასარბენი გვირაბების მშენებლობა?

— ამ მიმართულებით უკვე დაიწყო სამონტაჟო სამუშაოები. ისინი გვირაბის გაყვანის პარალელურად მიმდინარეობს. გვირაბის დამზადებულ ნაწილში უკვე დაიწყეს ელექტროკაბელების საკიდების, წყლის მილების ქსელის სამაგრების მონტაჟი. ეს სამუშაოები 1970 წელს უნდა შესრულდეს იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული ტრასა იმავე შემოდგომაზე გადავცეთ საექსპლოატაციოდ.

— მეტროპოლიტენის ვაგონებში მიწისქვეშა ტრანსპორტის მშენებარე და პერსპექტიული განვითარების სქემებია გამოკრული. ისინი ასევე დარჩება თუ ცვლილებას შეიტანთ?

— ეს სქემები შეიძლება მოძველებულად ჩაითვალოს. გაცნობებთ სასიხარულო ამბავს. სადგურ „ნავთლუღიდან“ მეტროპოლიტენი გზას ვარკეთილის საცხოვრებელი მასივისაკენ განაგრძობს (ყოფილი მე-3 მასივი). აღნიშნული მიმართულება კი ჯერ სქემებზე არ არის აღნიშნული.

— საბურთალო? როდის დაიწყება მეტროპოლიტენის მშენებლობა ამ მიმართულებით?

— მთელი ჩვენი ყურადღება ახლა სწორედ აქეთკენ არის მიმართული. კოლექტივის მთავარი ამოცანაა წლეულს აუცილებლად შევუდგეთ საბურთალოსაკენ მიმავალი მეტროპოლიტენის ხაზის მშენებლობას.

საბურთალოსკენ და ვარკეთილისკენ მეტროპოლიტენის მშენებლობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწარმოებს და ერთმანეთს არ შეაფერხებს. საბურთალოს ტრასა 5 კილომეტრი სიგრძისაა. პირველი სადგური „წერეთელი“ ამავე ხაზელწოდების პროსპექტისა და ბათუმის ქუჩების გზაჯვარედინთან უნდა აიგოს. მეორე, რომელსაც „პოლიტექნიკური“ დაერქმეცა, სპორტის სასახლის, მშენებარე მაღლივ სასტუმროსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომპლექსის მიდამოებში აშენდება. მესამე სადგურს ჩვენი შეფების, თბილისის კომკავშირელთა პატივსაცემად „კომკავშირული“ ეწოდეთ. ეს სადგური ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, ტბილისის ქუჩის გადაკვეთასთან იქნება, ხოლო მე-4, რომელსაც ჯერ სახელწოდება არა აქვს, ვაჟა-ფშაველას პროსპექტისა და გურამიშვილის მაგისტრალის შესაყართან არის დაგეგმილი.

სხვა ხაზებისაგან განსხვავებით, საბურთალოს მეტროპოლიტენი ძალიან ღრმა არ იქნება. ეს საშუალებას მოგვცემს საგრძნობი დრო მოვიგოთ და რაფადაც ვამბობთ. ამასთან მგზავრებისთვისაც ხელსაყრელი [illegible] ეკონომიურ [illegible] სადგურში ჩასვლაზე დიდი დრო არ [illegible]

— [illegible] „ვაჟა-ფშაველას“ დაერქმევა... წლეულს რას ჰპირდებით თბილისელებს, რა სამუშაოები უნდა შესრულდეს?

— პირველ რიგში წელს უნდა ჩავაბაროთ „ვაგზლის მოედნიდან“ ოქტომბრის ქუჩაზე გადასასვლელი „დერეფანი“ დახრილი გვირაბითურთ, სადაც ესკალატორი მოეწყობა. აგრეთვე მეორე გადასარბენი გვირაბი ვაგზლის მოედანსა“ და „ელექტროდეპოს“ შუა, რაც მეტროპოლიტენის მუშაკებს საშუალებას მისცემს მატარებლების შუალედი ამ მონაკვეთზე 7-დან 2,5 წუთამდე დაიყვანონ. ამ კარგ საჩუქარს მშრომელები დიდი ოქტომბრის 52-ე წლისთავზე მიიღებენ.

მარტო წლეულს მეტროპოლიტენის მშენებლობაზე თბილგვირაბმშენის სამმართველო 7,5 მილიონ მანეთს აითვისებს, აქედან 2 მილიონი მანეთი № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელზე მოდის, რომელსაც მეორე გადასარბენი გვირაბი და ოქტომბრის ქუჩაზე გადასასვლელი გაჰყავს, ხოლო დანარჩენ თანხას № 5 საგვირაბო რაზმი აითვისებს. ეს უკანასკნელი „300 არაგველიდან“ „ისან“-„ნავთლუღის“ მაგისტრალს აშენებს.





• ხალხს დიდებულს მთავსა მყინვარსა,.. •

ზამთარი სვანეთში ხანგრძლივი და თოვლიანი იცის. წარსულში ეს მთიანი მხარე რამდენიმე თვით მოწყვეტილი იყო უახლოეს რაიონებისაგანაც კი. მაგრამ დრო შეიცვალა. დღეს, ჩვეულებრივი ყინვებისა და ნამქერის მიუხედავად, სვანეთში სრულყოფილი ცხოვრება ჩქეფს. ახლა ჩვენი ქვეყნის ყველაზე მაღალმთიან საავიაციო ტრასაზე მიფრინავენ სწრაფფრენი ფოლადის ფრინველები. ხოლო მათ გულადი და მამაცი სვანები მართავენ. სვანეთის მთების მიუვალი მწვერვალები ფეხქვეშ მოიტოვეს, ფრთები შეისწორეს და თავისი მხარე გარემო სამყაროს დაუკავშირეს, მათი ყოველი გაფრენა—გმირობაა, პილოტებს კომკავშირელებს ჩერბიზ გვარლიანსა და შოთა მუშკუდიანს არაერთხელ მიუღიათ მადლობა ჩინებული მუშაობისთვის. ისინი ორივე მუსტიიდან არიან, ორივემ საავიაციო სასწავლებელი დამთავრა. სურათებზე: ზემოთ — აქედან, მესტიის აეროდრომიდან მიფრინავენ ფოლადის ფრთოსნები; მესტიის აეროპორტის უფროსი ჩ. გოშტელიანი და პილოტები ჩ. გვარლიანი და შ. მუშკუდიანი მორიგი გაფრენის წინ.

ფოტო **ბ. სოკოლოვისა.**
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ყოველი მხრიდან

„ვლადივოსტოკის“ უფოთიანი ღამე

იზმაილი, 20 თებერვალი. (საკდესი-რატუ). დუნაიზე ყინული დაძრა. მშობლიური ნაპირებისაკენ აიღეს კურსი საბჭოთა გემებმა, რომლებიც სხვა ქვეყნების ნავსადგურებში ატარებდნენ ზამთარს. ჩეხოსლოვაკიის კომბინატის ნავსადგურიდან წამოვიდა თბომავალი „ვლადივოსტოკი“.

შუა ღამისას ვახტზე მდგომმა შტურმანმა უცებ რადიოტელეფონით გაიგონა შემფოთებული ხმა: იუგოსლავიის პატარა ნავსადგურ ბუზდანიდან სასწრაფო დახმარებას ითხოვდნენ — იძირებოდა კარჭაპი. საბჭოთა მეზღვაურები სრული სვლით გაემართნენ შემთხვევის ადგილისაკენ. მაგრამ წყლის ნაცვლად თბომავალს დაუხვდა მთლიანი ყინულის ველი. თბომავალი კორპუსით აწვებოდა ყინულს და ნელ-ნელა მიდიოდა ავარიის ადგილისაკენ. ბოლოს, პროექტორების შუქზე გამოჩნდა წყალში ნახევრად ჩაძირული დატვირთული კარჭაპი. მხოლოდ ათი სანტიმეტრი აშორებდა მის გემბანს მდინარის ზედაპირიდან.

საბჭოთა მექანიკოსებმა მაშინვე გადაიტანეს კარჭაპზე შლანგები და ჩართეს გემის მძლავრი წყლის სარინი დანადგარი. მთელ ღამეს მუშაობდნენ ჩვენი მეზღვაურები, სანამ არ აღმოფხვრეს საშიშროება.

იუგოსლავიის მდინარო სანაოსნოს წარმომადგენელმა ბოი დრაგანოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კოლეგებს გემისა და ძვირფასი ტვირთის გადარჩენისათვის.

ამას რადიოგრამაში იუწყება „ვლადივოსტოკის“ კაპიტნის პირველი თანაშემწე დ. ნ. ბეზნოსკო.

„ტალინი-69“

ტალინში გაიხსნა პირველი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში — „ტალინი-69“. მისი მოწყობის ინიციატორია საერთაშორისო გროსმაისტერი ჰ. კერესი. ესტონეთის დედაქალაქს ეწვევნენ უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და ფინეთის მოჭადრაკეები, რომელთა ნახევარზე მეტი გროსმაისტერები არიან.

იუგოსლავი გროსმაისტერებიდან ტურნირში მონაწილეობს მ. დამიანოვიჩი, უნგრეთიდან — გ. ბარცა, საბჭოთა კავშირიდან — ვ. ლიბერზონი, ა. გიბსლისი, ე. გუფელდი, ლ. შტეინი. გარდა გროსმაისტერებისა, ასპარეზობაზე გამოდის სამი საერთაშორისო ოსტატი და ოთხი ოსტატი.

პირველი დღე დაეთმო ტურნირის გახსნას, წილისყრას. გუშინ გაიმართა პირველი ტური.

ტურნირი მოსკოვში

მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ სპორტულ დარბაზში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. მცირე ჩოგნის ოსტატთა ეს პაექრობა ტრადიციული გახდა. წელს მეჯიბრებაში მონაწილეობენ შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოთა გუნდს, რომელიც ტურნირზე წარმოდგენილია ორმოცზე მეტი სპორტსმენით, სათავეში უდგანან სსრ კავშირის ჩემპიონები ზ. რუდნოვა და ს. გომოზკოვი.

ფესბურთის ახალი ამბები

ბოგოტა. ნაკრებთა დონეზე მიმდინარე წელს აქ პირველი მატჩი გამართეს საბჭოთა ფეხბურთელებმა და დაამარცხეს კოლუმბიის გუნდი ანგარიშით 3:1 (1:1). შეხვედრას 60 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ანგარიში 23-ე წუთზე გახსნა გერშკოვიჩმა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე სანტამ საპასუხო ბურთი გაიტანა. მეორე ტაიმში თავი ისახელა კიეველმა ხმელნიცკიმ, რომელმაც ორი გოლი გაიტანა მახპინდელთა კარში.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: პშენიჩნიკოვი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ძოძუაშვილი, ჩუმაკოვი (სახაროვი), ლისენკო, მუნტიანი, ესკოვი (იანეცი), გერშკოვიჩი, ხმელნიცკი.

დიმიტროვგრადი. კუბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდის ფეხბურთელებმა ბულგარეთის ამ ქალაქში დაამარცხეს ადგილობრივი „დიმიტროვგრადის“ გუნდი ანგარიშით 2:1. (საკდესი).

ტბილისში

საქართველო — 1969

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვარლამ დარისპანის-ძე დონდუა.

ჩაღლინი

ბანგი, 21 თებერვალი. [illegible]

ბ. რიადის

[illegible]

ბ. ბ. ბ.

[illegible]

ბ. ბ. ბ.

[illegible]

ბ. ბ. ბ.